მიღება-ჩაბარების აქტი N1

ქ.ბათუმი
ლერმონტოვის ქ.N90ა

05 მაის 2017 წელი

2017 წლის 01 მაისის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N58 ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკურმა პირმა მაია ჭიჭილეიშვილმა ჩაატარა ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევა ქ.ბათუმში ძეგლის სტატუსის მქონე შენობებზე (დანართის შესაბამისად) და მოამზადა წერილობითი შედეგები 7 (შვიდ) მისამართზე, რომელიც სამ ეგზემპლარად გადაეცა ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის" ტექნიკური ზედამხედველობისა და რწმუნებულების განყოფილების თანამშრომელს არჩილ ვარშანიძეს.

აქტი შედგენილია 4 ეგზემპლარად, სწორია და ვადასტურებთ ხელწერებით.

ფიზიკური პირი:
პ/ნ 61001042967
მის.ქ.ბათუმი, 26 მაისის ქ.N30

მაია ჭიჭილეიშვილი

მოამზადა,
ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის" ტექნიკური
ზედამხედველობისა და რწმუნებულების
განყოფილების თანამშრომელი:

არჩილ ვარშანიძე

ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის შედეგები
ქალაქ ბათუმში რუსთაველის ქუჩა № 16-ში მდებარე
საცხოვრებელი სახლის შესახებ

ორსართულიანი, მანსარდით დასრულებული შენობა აიგო 1950-1952 წლებში, არქიტექტორ ნ. აბაშიძის პროექტით. შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო საგზაო სამმართველო, მეორე - სართულზე საბჭოთა ელიტის წარმომადგენელთა (საგზაო სამმართველოს უფროსის) აპარტამენტი და სასტუმრო ოთახები.

ფრონტალურად, ქუჩისაკენ მიმართული ფასადის სიმეტრიული კომპოზიცია და ლაკონური დეკორი საბჭოთა კლასიციზმის ნიშნებს ავლენს. ფასადის არქიტექტურული მწყობრი სტრუქტურა - რუსტიკისა და გლუვი კედლების მონაცვლეობა, კორინთული პილასტრებით დაყოფილი სეგმენტები, ზომიერი რიტმით განაწილებული სწორკუთხა და თაღოვანი ღიობები, სარკმელთა ბალიასინებიანი მოაჯირები და თავსართები, მძლავრად შეერილი კრონშტეინებიანი კარნიზი - სტალინური ეპოქის პარადულობას გამოხატავს. მანსარდა დაშენებულია 2009 წელს.

რუსთაველის ქუჩის აღნიშნული მონაკვეთში მდებარე საცხოვრებელი სახლები (№ 16, 14) გამოირჩევა ზომიერი მასშტაბებითა და ფასადების რამდენადმე სადა დეკორატიული გადაწყვეტით.

ამდენად, რუსთაველის ქუჩის აღნიშნული უბნის არქიტექტურულ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს XIX-XX სს-ის მიჯნაზე რუსეთის იმპერიაში საყოველთაოდ გავრცელებული "ფსევდოკლასიცისტური", საბჭოური და "თანამედროვე" პერიოდის სტილთა სინთეზი. მხატვრულ სტილთა ასეთი სიჭრელის მიუხედავად ქუჩის აღნიშნული მონაკვეთის არქიტექტურული სახე ხასიათდება ერთგვარი სადღესასწაულო იერით, რასაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ბულვარის შესასვლელთან მდებარე ისტორიული და გასული საუკუნის შედარებით გამომსახველი შენობების რეპრეზენტატულობა (ბათუმის დრამატული თეატრი, საცხოვრებელი სახლები), ზომიერი მასშტაბები და ფასადების გადაწყვეტა.

საცხოვრებელი სახლი №16 შეტანილია ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში. ორსართულიანი სახლის ფასადი "კლასიცისტურ" სტილშია გადაწყვეტილი. სახლის ცენტრალურ ნაწილში შესასვლელია მოწყობილი. შენობის ფასადი, თანაბარ ნაწილებად, კორინთული კაპიტელების მქონე პილასტრებით არის დანაწევრებული. პირველი სართულის სიბრტყე რუსტიკის იმიტაციას ქმნის. კარ-სარკმელთა ღიობები სწორკუთხა ფორმისაა. შესასვლელი აღნიშნულია ფრონტონით. მეორე სართულის კედელი გლუვია. თაღოვან სარკმლებს ნალესობაში გამოყვანილი თავსართები და ჰორიზონტალური გადანაკეცები გააჩნია. სარკმლებს ქვემოთ ბალიასინებისაგან შემდგარი ბრტყელი მოაჯირებია. მეორე სართულზე განთავსებულია ორი აივანი ლითონის აჟურული ცხაურებით. ნაგებობის მორთულობას ასრულებს კარნიზი, რომელსაც მიუყვება ვიწრო ორნამენტული ზოლი. ეზოს მხრიდან შენობის ფასადი სადა და უსახურია. ამდენად, საცხოვრებელი სახლი (№ 16) წარმოადგენს საბჭოთა პერიოდის ურბანისტული მემკვიდრეობის ნიმუშს, რომელსაც შერჩენილი აქვს პირვანდელი სახე და მიმზიდველობა.

დასკვნა და რეკომენდაციები

ქალაქის აღნიშნული ნაწილის არქიტექტურულ ფასეულობათა დაცვა-შენარჩუნება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან XX ს-ის 60-70-იანი წლებიდან მნიშვნელოვნად დაირღვა ამ ისტორიული უბნის მიმზიდველობა და სიმყუდროვე. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ უბანში არსებულ

საცხოვრებელ სახლებზე დაშენებულია მანსარდული ტიპის სართულები, თუმცა არქიტექტურული განაშენიანება მაინც ინარჩუნებს ქუჩის საერთო მასშტაბს. აქედან გამომდინარე სასურველია გათვალისწინებულ იქნას განაშენიანების არქიტექტურული მახასიათებლები და შენობის გადაწყვეტა:

აქედან გამომდინარე:

1. დაცულ იქნას შენობის სიმაღლე, მოცულობა, გეგმარება;
2. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ნაგებობის არქიტექტურისათვის სახასიათო მხატვრული გაფორმების ხერხები, ისე რომ არ დაირღვეს შენობის კარგად გააზრებული და დასრულებული ფასადის კომპოზიცია;
3. მნიშვნელოვანია ფასადის სამღებრო-სარემონტო სამუშაობის შესრულების სიფაქიზე, მაღალხარისხიანი მასალის გამოყენება; შენობის ფასადის ფერადოვანი გადაწყვეტისა და მიმდებარე ნაგებობის ფერწერულ ანსამბლის გააზრება ბათუმისათვის დამახასიათებელი პასტელური ფერების გამოყენებით.

ხელოვნებათმცოდნე: მაია ჭიჭილეიშვილი

01. 05. 2017

ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის შედეგები
ქალაქ ბათუმში რუსთაველის ქუჩა № 13 -ში მდებარე
საცხოვრებელი სახლის შესახებ

საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ქალაქის სანაპირო ზოლში, ბულვართან ახლოს, ერთ-ერთ ისტორიულ უბანში, რომელსაც ეწოდებოდა "ნურიე". XIX-XX სს-ის მიჯნაზე ეს უბანი წარმოადგენდა ქალაქის ერთ-ერთ განაშენიანებულ ნაწილს, რომლის ხუროთმოძღვრულ აქცენტს ქმნიდა რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში აგებული მართლმადიდებლური ტაძარი ე.წ. "სობორო". უბნის ისტორიული ნაწილის არქიტექტურული სახე მნიშვნელონად შეიცვალა გასული საუკუნის შუა წლებიდან: "სობოროს" ადგილას საბჭოთა პერიოდის ცნობილი არქიტექტორის – ა. შჩუსევის პროექტით აიგო სასტუმრო "ინტურისტი". ასევე აშენდა ორი და სამსართულიანი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოთა არქიტექტურის არც თუ ურიგო ნიმუშებს.

განსახილველი საცხოვრებელი სახლი თავდაპირველად ორსართულიანი ნაგებობა იყო. მისი ფასადები მიმართულია ნ. დუმბაძისა და შ. რუსთაველის ქუჩების მხარეს. შენობის კუთხე წახნაგოვანია. აქვეა გაჭრილი მთავარი შესასვლელი. კიდევ ერთი სადარბაზო განთავსებულია შენობის გვერდით ნაწილში რუსთაველის ქუჩის მხარეს. ნაგებობის ეს ნაწილი რიზალიტითაა აღნიშნული. სახლის პირველ სართულს ამკობს ჰორიზონტალური სარტყელები, სწორკუთხა ფანჯრები და თავსართები. შენობის მეორე სართული დანაწევრებულია თაღოვანი სარკმლებით. მათ მორთულობას შეადგენს

საპირეები და საჭეჭი ქვები. გარდა ამისა, გვერდითი სადარბაზოს რიზალიტს ამკობს სამმაგი შეეული ზოლები. ასეთი დეკორის ანალოგიები გვხვდება მოდერნის სტილით ნაგები ბათუმური საცხოვრებელი სახლების ფასადებზე. შენობას აგვირგვინებდა კბილანებიანი კარნიზი. ნაგებობის ფასადების საერთო სტილისტური გადაწყვეტა კლასიციზმის პრინციპებს მისდევს. მიმდინარე წელს ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში შენობას დაადგეს მესამე სართული, რომლის გარეგნული სახე ფასადების საერთო მხატვრული გადაწყვეტის იდენტურია. შენობის კუთხოვან, დამაგვირგვინებელ ნაწილს კი დაადგეს მაღალი პარაპეტი წრიული ღიობით. აღნიშნული ცვლილებების შედეგად ქუჩის განაშენიანებაში თითქმის შეუმჩნეველი და კამერული ხასიათის შენობა რამდენადმე მკვეთრ არქიტექტურულ აქცენტად იქცა.



განხილული შენობის მომიჯნავედ მდებარეობს ამავე ნომერზე რიცხული სამსართულიანი სახლი, რომლის პირველი სართული აგებულია 1892 წელს, მეორე და მესამე სართულები კი XX საუკუნის სხვადსხვა პერიოდში. სამშენებლო ფენების ქრონოლოგიური სხვაობის მიუხედავად, შენობის ქუჩისაკენ მიმართული მთავარი ფასადი ერთიან ეკ-ლექტურ რენესანსულ სტილშია გადაწყვეტილი. სწორკუთხა და თაღოვანი ღიობებით დაყოფილი კედლები, მსუბუქი რიზალიტები და სარკმლის შემამკობელი სანდრიკები, ლითონის აივნები, საფეხუროვანი კარნიზი და სხვა დეტალები XIX-XX სს-ის ბათუმური საც-ხოვრებელი სახლის ტიპურ სახეს ქმნის. შენობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქუჩის მასშტაბისა და არქიტექტრული იერსახის განსაზღვრაში.

დასკვნა და რეკომენდაციები:

შ. რუსთაველისა და ნ. დუმბაძის ქუჩების გადაკვეთის აღნიშნული უბნის განაშენიანება ხასიათდება XIX-XX სს-ის მიჯნაზე რუსეთის იმპერიაში საყოველთაოდ გავრცელებული "ფსევდოკლასიცისტური", საბჭოური და "თანამედროვე" პერიოდის სტილთა სინთეზით. თუმცა, ურბანულ ქსოვილს გამოარჩევს ერთგვარი სადღესასწაულო იერი, ნაგებობათა რეპრეზენტატულობა და ფასადების მეტ-ნაკლებად კლასიკური გადაწყვეტა.

ქალაქის აღნიშნული ნაწილის, ამ კონკრეტული, ისტორიული უბნის არქიტექტურული იერსახის მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ:

- უბნის საერთო ზომიერი მასშტაბი;
- შენობათა განთავსების უწყვეტი რიტმი;
- მხატვრულ სტილთა ეკლექტურობა;
- ნაგებობათა ფასადების მეტ-ნაკლებად გამომსახველი არქიტექტურული გადაწყვეტა.

აქედან გამომდინარე სასურველია დაცულ იქნას შენობისა და განაშენიანების არქიტექტურული მახასიათებლები:

- უბნის საერთო მასშტაბი;
- შენობის მოცულობა და მასშტაბი;
- საფასადო კომპოზიცია და მხატვრული გადაწყვეტის თითოეული დეტალი;
- მნიშვნელოვანია ფასადის სამღებრო-სარემონტო სამუშაოების შესრულების ხარისხი, მასალა და ტექნიკა ითვალისწინებდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ხარისხს, მის ღირებულებას.

ხელოვნებათმცოდნე: მ. ჭიჭილეიშვილი

01.05.2017

ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის შედეგები

ქალაქ ბათუმში რუსთაველი ქუჩა № 12-14 მდებარე

შეობების შესახებ

შ. რუსთაველისა და კ. გამსახურდიას ქუჩების კუთხეში მდებარე, 1950-იან წლებში აგებული საცხოვრებელი სახლი, საბჭოთა არქიტექტურის ნიმუშია. კლასიცისტური დეკორით შემკული ფასადის კუთხე მსუბუქი რიზალიტით, რუსტიკით, თაღებით გახსნილი კამაროვანი ვერანდებითაა აღნიშნული.

ჩვენი საუკუნის 10-იან წლებში სამსართულიან სახლს რუსთაველისა და ნაწილობრივ კ. გამსსახურდიას ქუჩის მხარეს მეოთხე სართული დააშენეს, რომლის არქიტექტურული გადაწყვეტა ფასადის თავდაპირველი სტრუქტურის ანალოგიურია. ფასადების გაფორმებაში გამოყენებულია კლასიცისტური ელემენტები. შენობის სარდაფის სართულის ზედაპირი რუსტირებულია. ასევეა დამუშავებული მთელ სიმაღლეზე ნაგებობის კუთხეები. ფასადის მორთულობის აქტიურ ელემენტს იონიურ-კორინთულ სვეტებით გადაბმული და ფრონტონებით დაგვირგვინებული აივნები წარმოადგენს. საფასადო დეკორში გამოყენებულია ორდერის ელემენტები ("იონურ" და "კორინთულ" სვეტებზე დაყრდნობილი "ანტაბლემენტი"). შენობის მძლავრი კარნიზს კრონშტეინები და საბჭოთა სახელმწიფოს სიმბოლო - ხუთქიმიანი ვარსკვლავი ამკობს. მეორე და მესამე სართულის კუთხეებში შეკრული კამარით დახურული გახსნილი ვერანდებია. შენობას ასრულებს მძლავრი კარნიზი, რომლის ქვედა, ხილულ არეზე

ერთმანეთის მონაცვლეობით ჩამწკრივებულია კრონშტეინები და საბჭოთა სიმბოლიკის ნიშანი – ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

ეზოს მხრიდან ბოლო წლებში სახლს მიაშენეს დამატებითი მოულობა, რომელმაც ჩახერგა ეზოს შესასვლელი. შენობის ამჟამინდელი მდგომარეობა უსაფრთხოა, დამატებით კონსტრუქციულ ჩარევას არ საჭიროებს.

საცხოვრებელი სახლი საბჭოთა პერიოდის არქიტექტურის ერთ-ერთ საყურადღებო ნიმუშს წარმოადგენს. შენობა, ისევე ქუჩის ამავე მონაკვეთში მდებარე, სტალინური კლასიციზმის სხვა ნიმუშები, ერთიან არქიტექტურულ ანსამბლს ქმნიან.

რუსთაველის ქ. 14 მდებარე სახცოვრებელი სახლი XX საუკუნის დასაწყისშია აგებული. ჩაღრმავებული პილასტრების საშუალებით სეგმენტებად დაყოფილი შენობის ფასადი სწორკუთხა და თაღოვანი ღიობებითაა დანაწევრებული. ფასადზე განსაკუთრებით გამოიყოფა მეორე სართულის ცენტრალური ნაწილი, სადაც მწყობრი პროპორციის სამი თაღოვანი სარკმელია ჩამწკრივებული. შენობის ცენტრალური ნაწილი დასრულებულია მრუდხაზოვანი ფრონტონით. პარაპეტი კბილანისებური მოხაზულობის დეკორაციული ელემენტებითაა დამუშავებული. ნაგებობა გამოიჩევა კარგი პროპორციით. შესანიშნავად გააზრებული და მხატვრული თვალსაზრისით დახვეწილი საფასადო გადაწყვეტით. შენობა ერთ-ერთი ადრინდელია რუსთაველის გამზირის განაშენიანებაში. ფასადის დეკორატიული მახვილები - კარ-სარკმელთა საპირეები, სართულთა გამყოფი სალტე, მრუდხაზოვანი ფრონტონი, კბილანისებური პარაპეტი, გვიან (2009 წელს) დაშენებული მანსარდის ფართო თაღოვანი

ღიობები კლასიცისტურ-ბაროკულ სტილიზაციას ემყარება. მწყობრი ფორმები და პროპორციები ფასადს მხატვრულ მთლიანობას ანიჭებს.
კონსტრუქციული თვალსაზრისით ამ ეტაპზე შენობა უსაფრთხოა და დამატებით კონსტრუქციულ ჩარევას არ საჭიროებს.

კვლევის დასკვნა და რეკომენდაციები:
რუსთაველის ქ. № 12 და 14 მდებარე საცხოვრებელი სახლები წარმოადგენენ ორი სხვადასხვა ისტორიული პერიოდის საინტერესო ნიმუშებს. განსხვავებული ეპოქალური მხატვრული თავისებურებების მიუხედავად შენობები ქუჩის ისტორიული განაშენიანების განუყოფელ, ორგანულ რგოლს ქმნიან. მხატვრულ ისტორიული ღირებულებებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია:

- თითოეული არქიტექტურული ძეგლის შენარჩუნება არსებული სახით;
- მათი გეგმარების, მოცულობის, მოცულობის, მასშტაბისა და მხატვრული გადაწყვეტის თავდაპირველი სახით შენარჩუნება;
- განსაკუთრებით ყურადღება მიექცეს ფასადის შემკულობის თითოეული დეტალის დაცვას;
- აღნიშნულ შენობებზე სარემონტო-სამღებრო სამუშაოების ჩატარებისას მნიშვნელოვანია სამუშაოების ფაქიზი შესრულება, ხარისხიანი სამღებრო-სარემონტო მასალების გამოყენება, პასტელური ტონის ფასადის სიბრტყეებისა და კონტრასტული (მუქ/ნათელი) ტონებისა და ფერების გამოყენება საფასადო დეკორის წარმოსაჩენად.

ხელოვნებათმცოდნე: ქ. ქიქიტეიშვილი მ. ჭიჭილეიშვილი
01. 05. 2017

ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის

შედეგები

ქალაქ ბათუმში რუსთაველისა (№5) და კ. გამსახურდიას ქუჩების (№ 6) გადაკვეთაში მდებარე საცხოვრებელი სახლის შესახებ

XX საუკუნის შუა წლებში, კ. გამსახურდიასა და შ. რუსთაველის ქუჩების შეერთების ადგილას აგებული სამსართულიანი, მანსარდით დასრულებული საცხოვრებელი სახლი აივნიანი შედმავებითა და მაღალი კოშკურა მოცულობებითაა აქცენტირებული. ნ.ბარათაშვილის ქუჩის მხარეს შენობა ოვალურ კუთხეს ქმნის. ზომიერი მასშტაბის, საბჭოთა კლასიცისტური ესთეტიკის გამომხატველი ნაგებობა უბნის მიკროსივრცის მაორგანიზებელი ელემენტია.

საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ქალაქის სანაპირო ზოლში, ბულვართან ახლოს. XIX-XX სს-ის მიჯნაზე ეს უბანი წარმოადგენდა ქალაქის ერთ-ერთ განაშენიანებულ ნაწილს, რომლის ხუროთმოძღვრულ აქცენტს ქმნიდა რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში აგებული მართლმადიდებლური ტაძარი. უბნის ისტორიული ნაწილის არქიტექტურული სახე მნიშვნელონად შეიცვალა გასული საუკუნის შუა წლებიდან – ტაძრის ადგილას საბჭოთა პერიოდის ცნობილი არქიტექტორის – ა. შჩუსევის პროექტით აიგო სასტუმრო

"ინტურისტი". ასევე აშენდა სამსართულიანი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოთა არქიტექტურის საინტერესო ნიმუშებს. ამავე უბნის ხუროთმოძღვრულ დომინანტს წარმოადგენს ბათუმის დრამატული თეატრის შენობა, რომელიც ასევე საბჭოთა პერიოდის მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლია.

განსახილველი საცხოვრებელი სახლის გეგმარება და მხატვრული კომპოზიცია ითვალისწინებს გადამკვეთი ქუჩების სპეციფიკას და ისტორიული განაშენიანების ტრადიციებს. კერძოდ, აქ შემორჩენილი ძველი ნაგებობების შესაბამისად (საცხოვრებელი სახლები: ნინოშვილის ქ. № 9, ნ. ბარათაშვილის ქ. № 2, რუსთაველის ქ. № 7), შენობა ფრონტალურად იხსნება ქუჩების მიმართულებით. ბარათაშვილის ქუჩისაკენ ქმნის რკალისებურ ფასადს, ხოლო რუსთაველისა და გამსახურდიას ქუჩების შეერთების ადგილას აივნიან შეღმავებას და სწორი კუთხით მიუყვება ქ. გამსახურდიას პროსპექტს. ნაგებობა თავისი ოვალური ფასადით შესანიშნავად ეწერება რუსთაველისა და ბარათაშვილის ქუჩების შეერთების მოხაზულობაში, ხასიათდება ჰარმონიული პროპორციებითა და მდიდარი დეკორატიული შემკულობით. ამ შენობის ტრადიციებს მისდევს საბჭოთა პერიოდში აქვე აგებული სხვა საცხოვრებელი სახლების არქიტექტურაც, რომელთაც ასევე გამოარჩევს ზომიერი მასშტაბები, შენობათა გეგმარების გარკვეული დინამიკურობა და პლასტიკურობა, ფასადების გაშლა გადამკვეთი ქუჩების მიმართულებით და შედარებით მდიდარი დეკორატიული მორთულობა.

ნაგებობა ორგანულადაა ჩართული უბნის განაშენიანებაში. იგი წარმოადგენს საბჭოთა პერიოდის ურბანისტული მემკვიდრეობის ნიმუშს. სახლის ფასადი "ფსევდოკლასიცისტურ" სტილშია გადაწყვეტილი. პირველი სართულის სიბრტყე რუსტიკის იმიტაციას ქმნის. სადარბაზოები მოწყობილია მცირედ შვერილ რიზალიტებში. რიზალიტების დეკორი განსხვავებულია ფასადის დანარჩენი ნაწილების გადაწყვეტისაგან, შესასვლელების გარდა ისინი აქცენტირებულია კრონშტეინებიანი აივნებით, ოვალური ფორმის ღიობებიანი მოაჯირებით, თაღოვანი ფრონტონებითა და კარნიზის კრონშტეინებით. შენობის მეორე და მესამე სართულები დანაწევრებულია კარ-სარკმელთა ღიობებით, ლითონის მოაჯირებიანი აივნებით, სარკმელთა ფრონტონისებური თავსართებით. შენობის მხატვრულ გამომსახველობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქართული ტრადიციული ხუროთმოძღვრული ორნამენტები, რომლებიც ჩართულია პირველი და მეორე სართულის გამოყოფ სალტეზე, ასევე კარნიზის ქვედა სარტყელზე. შენობის კუთხის ნაწილი ერთ მხარეს მცირედ შეწეულია, ხოლო ბარათაშვილის ქუჩისაკენ ოვალური ფორმის. კუთხის შეწეულ ნაწილში შენობას ორი მხრიდან გასდევს ვერანდა-აივანი, რომელიც კორინთულ სვეტებზე გადადებულ თაღებს ემყარება. ნაგებობა ხასიათდება ინდივიდუალური გეგმარებითა და არქიტექტურული მასების, მოცულობების მხატვრული გააზრებით. ამდენად, სახლის ხუროთმოძღვრება მიეკუთვნება საბჭოთა არქიტექტურის იმ ნიმუშთა რიცხვს, რომლებიც ხასიათდებიან ეროვნულ ფორმათა ძიებებით.

ნაგებობას მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული აქვს პირვანდელი სახე, თუმცა მან განიცადა გარკვეული რეკონსტრუქცია გასული საუკუნის მიწურულს, რაც შენობაზე მანსარდის დაშენებაში გამოიხატა. მანსარდის მასშტაბი და ფორმები რამდენადმე შესაბამისობაში აღმოჩნდა ნაგებობის პროპორციებთან და მხატვრულ გადაწყვეტასთან, თუმცა შესაძლებელი იყო უფრო გამომსახველი ფორმების დამკვიდრებაც. მანსარდის მხატვრული სახის ძირითად მოტივს სწორკუთხა და პარაპეტით აქცენტირებული თაღოვანი სარკმლების რიტმი ქმნის, რაც, თავის მხრივ, იმეორებს ფასადის მორთულობის აქცენტებს. რუსთაველისა და ბარათაშვილის ქუჩის მხარეს მოწყობილია საჩრდილობელი მასში გამართული კაფეებით. რუსთაველის ქუჩის მხარეს დარღვეულია თავდაპირველი ფანჯრების რიტმი – კერძოდ გაჭრილია შესასვლელი, რომელიც ქუჩის მხარეს ერთი საფეხურიანი კიბითაა ამაღლებული.

ამდენად, გამსახურდიასა და რუსთაველის ქუჩების აღნიშნული უბნის არქიტექტურულ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს XIX-XX სს-ის მიჯნაზე რუსეთის იმპერიაში საყოველთაოდ გავრცელებული "კლასიცისტური" და საბჭოური და პერიოდის სტილთა სინთეზი. მხატვრულ სტილთა ასეთი სიჭრელის მიუხედავად ქუჩის აღნიშნული მონაკვეთის არქიტექტურული სახე ხასიათდება ერთგვარი სადღესასწაულო იერით, რასაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ბულვარის შესასვლელთან მდებარე ისტორიული და გასული საუკუნის შედარებით გამომსახველი შენობების რეპრეზენტატულობა (ბათუმის დრამატული თეატრი, საცხოვრებელი სახლები), ზომიერი მასშტაბები და ფასადების გადაწყვეტა.

დასკვნა და რეკომენდაციები:

ქალაქის აღნიშნული ნაწილის არქიტექტურულ ფასეულობათა დაცვა-შენარჩუნება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან XX ს-ის 60-70-იანი წლებიდან მნიშვნელოვნად დაირღვა ამ ისტორიული უბნის მიმზიდველობა და სიმყუდროვე. მიუხედავად იმისა, რომ არსებულ საცხოვრებელ სახლზე უკვე დაშენებულია მანსარდა განაშენიანების ხუროთმოძღვრული სახე მაინც ინარჩუნებს ქუჩის საერთო მასშტაბს.

აქედან გამომდინარე გასათვალისწინებელია განაშენიანების ძირითადი არქიტექტურული მახასიათებლები:

- არ დაირღვეს უბნის საერთო მასშტაბი;

- მნიშვნელოვანია შენარჩუნებული იყოს ნაგებობის გეგმარება, მოცულობა, არქიტექტურისათვის სახასიათო მხატვრული გაფორმების ხერხები, რადგან არ დაირღვეს შენობის ფასადების კომპოზიცია და ფაქტურა;

-მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ფასადის თითოეული დეტალის (ფანჯრების რიტმი, გაფორმების დეტალები, აივნების დეკორი, ორნამენტული სარტყელი, კრონშტეინები) შენარჩუნება, რადგან იგი ხასიათდება მხატვრული ჩანაფიქრის მთლიანობით;

- ფასადის სარემონტო-სამღებრო სამუშაოების შემთხვევაში გამოყენებულ იქნას მაღალხარისხიანი საღებავი, ანტიკოროზიული საღებავი ლითონის მოაჯირებისათვის, ყურადღება მიექცეს სამუშაოების ფაქიზი შესრულებას. ფასადის ფერადოვანი გადაწყვეტაში სასურველია ბათუმის კლიმატისა და სახლებისათვის ტრადიციურლი პასტელური ფერთა შეხამება.

ხელოვნებათმცოდნე: მ. ქიქოლიშვილი

მაია ჭიჭილეიშვილი

01. 05. 2017

ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის შედეგები
ქალაქ ბათუმში გამსახურდიას ქ. № 1/ნინოშვილის ქ. № 7,
მდებარე საცხოვრებელი სახლის შესახებ

საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ქალაქის სანაპირო ზოლში, ისტორიულ უბანში, ბულვარის შესასვლელთან. ქვის, სამსართულიანი, შელესილი შენობა ქალაქის ორი მთავარი ქუჩის გადაკვეთაზეა მოცემული. მისი ერთი ფასადი გამოდის ე. ნინოშვილის ქუჩის მხარეს (№ 7), ხოლო მეორე მიუყვება კ. გამსახურდიას პროსპექტს (№ 1). გამსახურდიას ქუჩის პერიმეტრზე მას ემიჯნება გასული საუკუნის 70-იანი წლების საბჭოთა არქიტექტურის უსახური ნიმუში - ხუთსართულიანი სახცოვრებელი სახლი. მოპირდაპირე მხარეს მდებარე ასევეე კუთხის სამსართულიანი ნაგებობა და გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე, საბჭოთა პერიოდის შედარებით გამომსახველი შენობა - სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

არქიტექტორი გ. ერქომაიშვილის პროექტით, გასული საუკუნის 1951 წელს აგებული სამსართულიანი საცხოვრებლი სახლი თითქმის მთელ კვარტალს მოიცავს, მისი გეგმარება ხაზს უსვამს შენობის საკვანძო მდებარეობას. ბულვარის სივრცისაკენ მიმართული ნახევარწრიულად შეჭრილი და ასევეე ფორმის მეზონინით დაგვირგვინებული კუთხის ფასადი, საზეიმოდ მორთული აივნები, კორინთული სვეტები, პილასტრები, ფრონტონებიანი თავსართები, მცენარეული ჩუქურთმა განსაკუთრებულ პარადულობას ანიჭებს ნაგებობას.

კლასიცისტური დეკორი მას საბჭოთა არქიტექტურის საინტერესო ნიმუშად წარმოგვიდგენს.

ქუჩების მიმართულებით განვითარებული შენობის ფრთების შეერთების ადგილას I სართული ოდნავ წინ არის გამოწეული და სრულდება ბალასინებიანი აივნით, რომელიც მომრგვალებას მიუყვება. აივნის კუთხეებში ქვაში ამოკვეთილი ლარნაკებია მოცემული. შეზნექილი მონაკვეთის ცენტრში სადარბაზოა გაჭრილი. ამ ცენტრალურ ნაწილში ხაზგასმულია ვერტიკალური ღერძი. სადარბაზოს თავზე, II სართულის დონეზე, მძლავრ კრონშტეინებზე დაფუძნებული, ბალასინიანი აივანია მოწყობილი. აივანზე გაჭრილი კარი, რომელიც კორინთულ კაპიტელიანი პილასტრებით არის ფლანკირებული, სრულდება მძლავრი, შვერილი ანტაბლემენტით. სწორედ შენობის ამ ცენტრალურ ნაწილს დაშენებული აქვს სამ წახნაგოვანი, შეზნექილი სიბრტყის მქონე მეზონინი. იგი, თავის მხრივ, ცენტრალურ, შეზნექილ ნაწილში გაფორმებულია ნახევარსვეტებით, ხოლო კუთხეებში ნაოთხალი სვეტებით. Iგი სრულდება მძლავრი, კბილანებიანი, შვერილი კარნიზით და წყვეტილი პარაპეტით.

შენობის გრძივი ფასადები უფრო სადაა. I სართულის ზედაპირი ღრმა, ჰორიზონტალური ღარებით არის დამუშავებული და სრულდება მცენარეული ორნამენტით შემკული ფრიზით. ფასადის გლუვ სიბრტყეს ოდნავ შვერილი რიზალიტები აცოცხლებს, რომლებშიც სადარბაზოებია გაჭრილი: ნინოშვილის ქუჩის მხრიდან - 1, ხოლო გამსახურდიას ქუჩის მხრიდან - 3. ქვის კრონშტეინებიანი აივნები მხოლოდ რიზალიტების ვერტიკალშია მოცემული. დანარჩენი აივნები სადა, რკინის გისოსებით არის შემოსაზღვრული. საგანგებოდაა გაფორმებული სადარბაზოს შესასვლელები: სწორი, პროფილირებული მოჩარჩოება საჭექი დეკორაციული ქვით და ორნამენტული არშიით. შენობის პირველი სართული მხოლოდ ნაწილობრივაა სახეცვლილი ვიტრინებით. პილასტრებით არის ფლანკირებული საცხოვრებელი სახლის II და III სართულების კარებები. III სართულის პილასტრებს რელიეფური ანტაბლემენტი ასრულებს. კარნიზის ძირს, ორნამენტული ზოლი გაზდევს.

შენობა საბჭოური არქიტექტურის მნიშვნელოვანი ნიმუშია. მას საკვანძო ადგილი ენიჭება უბნის განაშენიანებაში. კლასიცისტური ელემენტების გამოყენება და უხვი დეკორი, ამ ნაგებობას განსაკუთრებულ მხატვრულ ღირებულებას სძენს.

ქ. გამსახურდიასა და ე. ნინოშვილის ქუჩების გადაკვეთაში მდებარე საცხოვრებელი სახლი მოქცეულია ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლებს შორის (ქ. გამსახურდიას ქ. № 2, 4) რომლთაც გამოარჩევს XX ს-ის პირველ ნახევარში აგებული შენობების სადღესასწაულო იერი, ზომიერი მასშტაბები და შენობების ინდივიდუალური გეგმარება, რაც გულისხმობს გარკვეული პლასტიკური აქცენტების დასმას გადამკვეთი ქუჩების კუთხეებში და ფასადების ფრონტალურ გაშლას ორივე პროსპექტის მიმართულებით. ქალაქის აღნიშნული მონაკვეთის არქიტექტურულ მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ XIX-XX სს-ის მიჯნაზე ფართოდ გავრცელებული "ფსევდოკლასიცისტური" და საბჭოური პერიოდის სტილთა სინთეზი. აქედან გამომდინარე კი სასურველია შენარჩუნებულ იქნას როგორც განაშენიანების, ისე ნაგებობის მხატვრულ-არქიტექტურული მახასიათებლები:

დასკვნა და რეკომენდაციები:

1. მნიშვნელოვანია შენარჩუნებული იყოს ნაგებობის გეგმარება, მოცულობა, არქიტექტურისათვის სახასიათო მხატვრული გაფორმების ხერხები, რადგან არ დაირღვეს შენობის ფასადების კომპოზიცია და ფაქტურა;
2. დაცულ იქნას ფასადის შემკულობის თითოეული დეტალი (ფანჯრების რიტმი, გაფორმების დეტალები, აივნების დეკორი, ორნამენტული სარტყელი, კრონშტეინები და სხვ.), რადგან იგი ნაგებობის გარეგნული სახე ხასიათდება მხატვრული ჩანაფიქრის მთლიანობით;
3. ფასადის სარემონტო-სამღებრო სამუშაოების შემთხვევაში გამოყენებულ იქნას მაღალხარისხიანი საღებავი, ანტიკოროზიული საღებავი ლითონის მოაჯირებისათვის; ყურადღება მიექცეს სამუშაოების ფაქიზი შესრულებას; ფასადის ფერადოვან გადაწყვეტაში გამოყენებულ იქნას პასტელურ ფერთა ისეთი ტონები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფასადის კომპოზიციური გადაწყვეტის პრინციპისა და დეკორატიული დეტალების წარმოჩენას.

4. აუცილებელია, რომ სარემტონტო-სამღებრო სამუშაოების ხარისხი და ტექნიკა ითვალისწინებდეს ნაგებობის სამშენებლო მასალისა და არქიტექტურული განაშენიანების ტრადიციებს.

ხელოვნებათმცოდნე: მ. ფიფიგანი მაია ჭიჭილეიშვილი

01. 05. 2017

ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის შედეგები
ქალაქ ბათუმში გამსახურდიას ქ. № 2/ ნინოშვილის ქ. № 9 მდებარე
საცხოვრებელი სახლის შესახებ

საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ქალაქის ისტორიულ უბანში, სანაპირო ზოლში, ბულვარის შესასვლელთან. სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი დგას ქუჩების გადაკვეთაში: მისი ერთი ფასადი გამოდის ე. ნინოშვილის ქუჩის მხარეს (№9), ხოლო მეორე მომრგვალებული კუთხით მიუყვება ქ. გამსახურდიას პროსპექტს (№2). ნინოშვილის ქუჩის პერიმეტრზე მას ემიჯნება სასტუმრო "ინტურისტის" შენობა, მოპირდაპირე მხარეს ასევეე კუთხის ნაგებობა და გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

XX საუკუნის დასაწყიში აგებულ, თავდაპირველად ორსართულიან, შენობაში მიხეილის ციხესიმაგრის სამმართველო იყო განთავსებულ. 1953-2006 წლებში მას მესამე მეოთხე სართულები დაამატეს. 1905-1912 წლებში, ამ სახლში სტუმრობდა ბათუმს უკრაინელი პოეტი ლესია უკრაინკა. 1905-1907 წლებში ამ სახლში ცხოვრობდა ცნობილი ინჟინერი, ბათუმის რეკონსტრუქციისა და განაშენიანების პროექტების ავტორი დიმიტრი სვიშჩევსკი. ამჟამად შენობის მარჯვენა ნაწილში, ე. ნინოშვილის ქუჩის მხარეს, თურქეთის საკონსულოა განთავსებული.

ქუჩებისაკენ სამი ფასადით მიმართული რთული კონფიგურაციის ნაგებობა მკლავებითა და მორკალული ფორმებით, რიზალიტებითა და პორტიკებით მნიშვნელოვანი პლასტიკური აქცენტია. სხვადასხვა პერიოდის ცვლილებების მიუხედავად შენობის მთავარი ფასადი (რიზალიტებს შორის გახსნილი გალერეა-ვერანდები, სხვადასხვა ფორმის ღიობები, ერკერები, დაკიდული აივნები, რიზალიტების დამაგვირგვინებელი მორკალული ფრონტონები და სხვა დეტალები) მეტ-ნაკლებად, მხატვრულ-სტილიტ'ური მთლიანობით ხასიათდება. ნაგებობა ბათუმის ზღვისპირა უბნის არქიტექტურულ-გეგმარებითი დომინანტია.

შენობის ხუროთმოძღვრული სახე, როგორც ჩანს, თავიდანვე ითვალისწინებდა ქალაქის გეგმარების სპეციფიკას. ნაგებობა მიუყვება ქუჩების კონტურს და მკლავებითა და მორკალული ფორმებით, რიზალიტებითა და პორტიკებით მნიშვნელოვან პლასტიკურ აქცენტს ქმნიდა უბნის განაშენიანებაში. ქუჩის დაგეგმარების ამ სპეციფიკას ითვალისინებს უკვე საბჭოთა პერიოდში, მოპირდაპირე მხარეს, აგებული საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაც, რომლის ფასადები ასევე ფრონტალურად იშლება გადამკვეთი ქუჩების ორივე მხარეს.

ნაგებობის ფასადები დანაწევრებულია ღია გალერეებით, აივნებითა და პორტიკებით. ღიობების მოხაზულობა სხვადასხვაგვარია. გამოყენებულია სწორკუთხა, თაღოვანი და ბრტყელთაღიანი ფორმები. აღსანიშნავია აგრეთვე მშენებლობის მაღალი ხარისხი და ოსტატობა. შენობას მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული აქვს პირვანდელი სახე და ხიბლი. თუმცა, მან განიცადა გარკვეული ცვლილება XX ს-ის 90-იან და 2000-იან წლებში, რაც შენობის გვერდით ფრთებზე მანსარდების დაშენებაში გამოიხატა. მანსარდის სიმაღლე და ფორმები ზოგადად შესაბამისობაში აღმოჩნდა ნაგებობის პროპორციებთან. საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ბათუმის ზღვისპირა უბნის მნიშვნელოვან არქიტექტურულ-გეგმარებით დომინანტს და ურბანისტული მემკვიდრეობის საინტერესო ნიმუშს.

როგორც აღვნიშნეთ, ნინოშვილის ქ. № 9 მდებარე საცხოვრებელი სახლი მოქცეულია ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლებს შორის, რომლთაც გამოარჩევს XX ს-ის 50-იან წლებში აგებული შენობების სადღესასწაულო იერი, ზომიერი მასშტაბები და შენობების ინდივიდუალური გეგმარება, რაც,

პირველ რიგში, გულისხმობს გარკვეული პლასტიკური აქცენტების დასმას გადამკვეთი ქუჩების კუთხეში და ფასადების ფრონტალურ გაშლას ორივე პროსპექტის მიმართულებით. ქალაქის აღნიშნული მონაკვეთის არქიტექტურულ მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ XIX-XX სს-ის მიჯნაზე ფართოდ გავრცელებული "ფსევდოკლასიცისტური" და საბჭოური პერიოდის სტილთა სინთეზი. აქედან გამომდინარე კი სასურველია შენარჩუნებულ იქნას როგორც განაშენიანების, ისე ნაგებობის მხატვრულ-არქიტექტურული მახასიათებლები:

დასკვნა და რეკომენდაციები:

1. შენარჩუნებულ იქნას შენობის მოცულობა, სიმაღლე, მასშტაბი;
2. დაცულ იქნას ფასადების მორთულობის სისტემა, შემკულობის თითოეული დეტალი (ღიობები, ერკერები, დაკიდული აივნები, რიზალიტების დამაგვირგვინებელი მორკალული ფრონტონები და სხვა დეტალები).
3. ფასადის სარემონტო-სამღებრო სამუშაოების შემთხვევაში გამოყენებულ იქნას მაღალხარისხიანი საღებავები; ყურადღება მიექცეს სამუშაოების ფაქიზი შესრულებას; ფასადის ფერადოვან გადაწყვეტაში გამოყენებულ იქნას პასტელურ ფერთა ისეთი ტონები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფასადის კომპოზიციური გადაწყვეტის პრინციპისა და დეკორატიული დეტალების წარმოჩენას.
4. აუცილებელია, რომ სარემტონტო-სამღებრო სამუშაოების ხარისხი და ტექნიკა ითვალისწინებდეს ნაგებობის სამშენებლო მასალისა და არქიტექტურული განაშენიანების მაღალ ტრადიციებს.

ხელოვნებათმცოდნე: მაია ჭიჭილეიშვილი

01.05.2017

ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის შედეგები

ქ. ბათუმში რუსთაველის ქუჩა № 7- 9 მდებარე

საცხოვრებელი სახლების შესახებ

საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ქალაქის ისტორიულ უბანში, ბულვართან ახლოს. რუსთაველის ქუჩა ძველი ბათუმის უმნიშვნელოვანესი ღერძი იყო. მის გარკვეულ ნაწილზე გადიოდა სარკინიგზო ხაზი, რომელიც საზღვაო პორტის მიდამოებისაკენ მიემართებოდა. ქუჩის განაშენიანება ჩვენი საუკუნის 10-იან წლებამდე ინარჩუნებდა ძველი ბათუმის ზომიერ მასშტაბს. წინანდელი ხანის კვარტალური ურბანული ქსოვილი დღეს ახალმა, მაღლივმა შენობებმა ჩაანაცვლა. ქუჩის ამჟამინდელი განაშენიანება, მასშტაბებისა და მხატვრული თვალსაზრისით, კონტრასტულია. აქ წამოდგენილია XIX-XX სს-ის მიჯნისა და საბჭოთა პერიდის ფსევდო სტილების, უახლესი პერიოდის ეკლექტური ნიმუშები.

1904 წელს აგებული სახლი სტეფანე ვარძელოვს ეკუთვნოდა. 1913 წელს აქ აშშ-ს საკონსულო მდებარეობდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1922 წლიდან, შენობაში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი განთავსდა ამჟამად, სამივე სართულს საცხოვრებლის დანიშნულება აქვს.

ქუჩების მხარეს ფასადებით მიმართული, რთული კონფიგურაციის შენობა ხასიათდება ჰარმონიული პროპორციებითა და მდიდარი დეკორატიული შემკულობით. შენობა წარმოადგენს რთული გეგმარების მქონე, დიდი ზომის ორსართულიან სახლს მანსარდითა და მაღალი ცოკოლის სართულით. ბარათაშვილის ქუჩის მხრიდან, ძირითად კორპუსს, ეზოს მხარეს გაჩნია

კედლებისა და ჭერის ნაძერწი დეკორი. ორი ქუჩის შეერთების ადგილას მდებარე ეს ნაგებობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს უბნის განაშენიანების მასშტაბებსა და ხასიათს.

რუსთაველის ქ. № 7 მდებარე XX საუკუნის დასაწყისში აგებული ერთსართულიანი მანსარდით დასრულებული სახლი მთავარი ფასადით ქუჩის მხარესაა მიმართული. ფასადის ცენტრი გაჭრილი შესასვლელი ფლანკირებულია რუსტიკის იმიტაციით შემკული პილასტრებით, რომლებსაც კაპიტელების ქვეშ ამკობს სამი კონცენტრული წრის მოტივი. შენობის გვიან დაშენებული მანსარდა დაბურულია თუნუქის სახურავით, რომელიც ქუჩის მხარეს განიერი ღიობით იხსნება. ფრონტონით დაგვირგვინებული სარკმლის წინ რიკულებიანი მოაჯირით შემოზღუდული აივანია მოწყობილი. მანსარდის კედზე აღმართულია ლითონის მოაჯირიანი პარაპეტი. სახლს ეზოს მხრიდან ერთსართულიანი მინაშენი აქვს. ეს კამერული ნაგებობა ისტორიული განაშენიანების ნაწილია და მის გვერდზე მდებარე, მხატვრული თვალსაზრისით გამორჩეულ ნაგებობასთან ერთად, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქუჩის არქიტექტურულ სახეს.

რუსთაველის ქ. № 7-9 მდებარე შენობების თავისებურებებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია:

- შენობების გეგმარების, მოცულობის, მასშტაბის არსებული სახით შენარჩუნება;

სამსართულიანი წახნაგოვანი რიზალიტი და ეზოს სიღრმეში ასევე წახნაგოვანი ორსართულიანი განიერი ფრთა. სართულები ერთმანეთისგან მძლავრი, პროფილირებული კარნიზებითაა გამიჯნული. კედლის სიბრტყეები რუსტირებულია. სართულების მხატვრული გაფორმება განსხვავებულია. პირველი სართულის ღიობები - სწორხაზოვანია, შენობის კუთხეებში - მშვილდთაღოვანი. სარკმლის თავი და ძირი ხაზგასმულია საჭექი ქვითა და ჩაკვეთილი მართკუთხედებით. სარკმლების ზედა მონაკვეთის დონეზე, ფასადს, მეანდრით დამუშავებული ფრიზი მიუყვება. რუსთაველის ქუჩის მხრიდან, შენობის კიდეში ოდნავ მორკალური თაღით დასრულებული სადარბაზოა განთავსებული, რომლის წინ, ლითონის დეკორაციულ სვეტებზე დაფუძნებული ჩარდახია მოწყობილი. სადარბაზოს ინტერიერი უხვად არის შემკული ნალესობაში გამოყვანილი პლასტიკური დეკორით. კედლებიც და ჭერიც დამუშავებულია მცენარეული ორნამენტით. სადარბაზოს საფეხურის შუბლზე აღშენების თარიღია მოცემული (1904 წ.).

შენობის მეორე სართული უფრო უხვადაა გაფორმებული. სწორკუთხა ღიობებს კუთხეებში თაღოვანი ღიობები ენაცვლება. პირველი სართულის სარკმლების სადა გაფორმება აქ იცვლება ჭარბი დეკორაციული სამკაულით: სარკმელთა თაღოვან თავსართებს შორის ჩართული გირლანდებითა და რუსტირებული დეკორატიულ კაპიტელებიანი პილასტრებით, მცენარეული ორნამენტებით შემკული ფანჯრის მართკუთხა ძირებით. შეწყვილებული დეკორაციული კრონშტეინებითა და კბილანებით გაფორმებულ კარნიზს, ძირში მცენარეული ორნამენტის ფრიზი მიუყვება. შენობა სრულდება მაღალი, დეკორაციული პარაპეტით, რომელიც კუთხეებში თაღოვანი, მცენარეული დეკორით შემკული შუაში ჩაკვეთილი მრუდხაზოვანი ფრონტონებით სრულდება. პარაპეტის მოაჯირი ქვისაა, თაღებითა და წრეებით გაფორმებული.

რუსთაველის ქუჩის მხრიდან, პარაპეტის ცენტრალურ მონაკვეთში განთავსებული მანსარდა ტალღოვანი თაღებით სრულდება, რომელთა ცენტრში, მრგვალი სარკმელია მოცემული. ეზოს მხრიდან რიზალიტისა და შიდა, დამატებით ფრთას შორის, ტერასაა მოწყობილი. შენობის ფასადს, II სართულის დონეზე, ორივე ქუჩის მხრიდან ბალასინიანი აივნები გააჩნია.

შენობის ფასადების რენესანსულ-ბაროკული სტილის მორთულობა (რუსტიკა, სანდრიკები, გირლანდები, იონიური სვეტები, კრონშტეინები და სხვ.) გამოირჩევა დინამიკურობითა და მხატვრული ოსტატობით. ინტერიერის შემკულობიდან აღსანიშნავია სადარბაზოს მოზაიკური იატაკი, კიბის ლითონის მოაჯირები,

- სრული სახით იქნას შენარჩუნებული ექსტერიერის ყველა მხატვრულ-კონსტრუქციული მახასიათებელი. განსაკუთრებით № 7 მდებარე შენობის ფასადის თითოეული დეტალი – სარკმლის ფორმები, რუსტირებული კედლის სიბრტყეები, სარკმლის ძირები, მეანდრის სარტყელი, ორნამენტული ნაძერწი ჩუქურთმა, კარნიზის დეკორი და სხვ.
- მნიშვნელოვანია არ დაირღვეს შენობების კარგად გააზრებული და დასრულებული ფასადის კომპოზიცია.
- რუსთაველის ქუჩა № 7 ნაგებობის ინტერიერში დაცულ იქნას ძველი, ავთენტიკური ელემენტები (სადარბაზოს მოზაიკური იატაკი, კიბის ლითონის მოაჯირები, კედლებისა და ჭერის ნაძერწი დეკორი).
- აუცილებელია ამ ისტორიული უბნის ორი თანადროული პერიოდის შენობების ავთენტური ელემენტების არსებული სახით შენარჩუნება;
- აღნიშნულ შენობებზე სარემონტო-სამღებრო სამუშაოების ჩატარებისას მნიშვნელოვანია სამუშაოების ფაქიზი შესრულება, რათა არ დაზიანდეს ფასადის დეკორის ავთენტური დეტალები (ფასადის დეკორატიული ელემენტები, ნაძერწი ორნამენტები, კედლის ფაქტურა), კედლის ზედაპირი;

ხელოვნებათმცოდნე: ვ. ფოფიტელი მ. ჭიჭილეიშვილი

01. 05. 2017